

---

## პირსპექტივა

### საჩუქართან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირება საჯარო სამსახურში

ნუნუ ოვსიანიკოვა\*

კორუფციის პრევენციულ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საჯარო სამსახურის სფეროში საჩუქართან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების საკითხებს. კორუფციასთან ბრძოლის პრაქტიკაში აღიარებულია, რომ ქრთამი კორუფციის გამოვლენის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და ძირითადად ორი სახით – „ღიად“ ან „შენიღბულად“ ხორციელდება. „შენიღბული“ სახით მექრთამეობისას უპირატესად გამოიყენება კანონით მიღებული ფორმები: ჰონორარი, პრემია, საჩუქარი, ანაზღაურებადი სამუშაო შეთავსებით, კონსულტაციები, ლექციები, შემონიშნულობები და ა.შ. არცთუ იშვიათად, თანამდებობის პირს გარკვეული ქმედების ან უმოქმედობის სანაცვლოდ განესაზღვრება ჰონორარი გაცილებით დიდი ოდენობით, ვიდრე მისი ნაშრომი იმსახურებს; გადაეცემა ჯილდო, პრემია, გრანტი, ძვირადღირებული საჩუქარი; უნაზღაურდება ლექციები მაღალი განაკვეთით და ა.შ. „შენიღბული“ სახით მექრთამეობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა საჩუქარი, ამიტომ აღნიშნული საკითხის რეგულირების სფეროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა.

#### რას გვთავაზობს საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაციები?

ევროპის საბჭოს მიერ რეკომენდებულ „სახელმწიფო მოსამსახურეთა ქცევის მოდელურ კოდექსში“<sup>1</sup> ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს საჯარო სამსახურში მოხელეების მიერ საჩუქრის მიღების წესების რეგლამენტირებისას. კოდექსის მიხედვით, მოსამსახურემ არ უნდა მოითხოვოს, მიიღოს საჩუქრები, მიწვევა ან ნებისმიერი სხვა სარგებელი, ისარგებლოს მომსახურებით, რომელიც გამიზნულია მისთვის ან მისი ოჯახისათვის, ნათესავებისათვის, მეგობრებისათვის ან იმ პირებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებთანაც სახელმწიფო მოსამსახურეს აქვს ან ჰქონდა საქმიანი თუ პოლიტიკასთან დაკავშირებული ურთიერთობები და ამ ურთიერთობებს შეუძლიათ, სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებით, მოსამსახურის მიუკერძოებლობაზე გავლენა იქონიონ, ან შექმნან მასზე ზემოქმედების შთაბეჭდილება.

კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, „საჩუქარს“ არ განეკუთვნება ჩვეულებრივი სტუმართმომყვარეობის ფარგლებში მასპინძლობა და უმნიშვნელო საჩუქარი, ხოლო, თუ საჯარო მოხელემ არ იცის, აქვს თუ არა უფლება, მიიღოს საჩუქარი, ან ისარგებლოს სტუმართმომყვარეობით, ამის შესახებ ვალდებულია, დაეკითხოს თავის უშუალო ხელმძღვანელს. საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში, თანამდებობრივი იერარქიის გათვალისწინებით, საჩუქრის მიღების განსხვავებული წესი დგინდება.

---

\* იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

<sup>1</sup> Модельный кодекс поведения для государственных Рекомендация № R (2000) 10, 106-ая сессия Комитета Министров Совета Европы.

## პარსკაქტივა

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ რეკომენდებული „სახელმწიფო თანამდებობის პირთა ქცევის საერთაშორისო კოდექსის“<sup>2</sup> მე-9 მუხლში ცალკეა გამოყოფილი რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება საჩუქრების მიღებისა და ყურადღების სხვა ფორმებით გამოხატვის საკითხებს.

მასში ჩამოყალიბებულია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის შესაბამისად: „სახელმწიფო თანამდებობის პირი არ უნდა იღებდეს და არ უნდა ეცადოს პირდაპირ ან ირიბად მიიღოს ნებისმიერი საჩუქარი ან მიმართოს ყურადღების გამოხატვის სხვა ფორმებს, რომლებსაც შეუძლიათ რაიმე გავლენა იქონიონ თანამდებობის პირის მიერ თავისი ფუნქციებისა და მოვალეობის შესრულებაზე ან გადაწყვეტილების მიღებაზე“.

ამრიგად, სახელმწიფო მოხელის მიმართ ერთმნიშვნელოვნად დგება პირობა, რომ მას, სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ეკრძალება, მიიღოს ნებისმიერი საჩუქარი, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მის მიერ გარკვეული ქმედების შესრულებასთან ან უმოქმედობასთან.

საყურადღებოა, რომ პრაქტიკაში არა მარტო საჩუქარს, არამედ საჩუქრის შეთავაზების ფაქტსაც განიხილავენ კორუფციული ქმედების კონტექსტში.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ კონვენციის<sup>3</sup> შესაბამისად, კორუფციულ აქტს განეკუთვნება ქმედება, რომლის დროსაც „სახელმწიფო თანამდებობის პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მოითხოვს ან იღებს ფულადი ღირებულების ნებისმიერ საგანს ან რაიმე სიკეთეს საჩუქრის სახით თავისთვის ან სხვისთვის, გარკვეული ქმედებისა ან უმოქმედობის სანაცვლოდ, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან“. კორუფციულ ქმედებას განეკუთვნება ასევე „სახელმწიფო თანამდებობის პირისათვის ფულადი ღირებულების მქონე ნებისმიერი საგნის ან რაიმე სიკეთის საჩუქრის სახით პირდაპირ ან არაპირდაპირ შეთავაზება ან შეპირება, მისთვის ან სხვისთვის რაიმე სარგებელის ან უპირატესობის მიღების მიზნით, თანამდებობის პირის გარკვეული ქმედებისა ან უმოქმედობის სანაცვლოდ, რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან“.

## როგორია საჩუქრის პრობლემის რეგულირების პრაქტიკული ასპექტები?

### ისტორია და თანამედროვეობა

სახელმწიფოების ფორმირების ისტორიულ ეტაპებზე ყოველთვის აქტუალურია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების საკითხები. ჯერ კიდევ პლატონი გმობდა მოვალეობის შესრულებასათვის საჩუქრის მიღებას. იგი თვლიდა, რომ „საჩუქარი არ უნდა მივიღოთ არც კარგი და არც ცუდი საქმეებისათვის“.

საყურადღებოა, რომ უკვე XVII საუკუნეში ოპონირებას უწევდნენ რომის კანონებს, რომლებიც თანამდებობის პირებს ნებას რთავდა, მიეღოთ მცირე საჩუქრები. *მონტესკიეს* „ცუდ კანონად“ მიაჩნდა კანონი, რომლის შესაბამისად, თანამდებობის პირს წელიწადში არ შეეძლო მიეღო 100 ეკიუზე მეტი ღირებულების საჩუქარი, რადგან აღიარებდა, რომ: „ვისაც არაფერს აძლევენ, იმას არც არაფერი სურს. ვისაც ცოტას აძლევენ, მალე მეტს მოისურვებს, შემდეგ – კიდევ უფრო მეტს. ამასთანავე, უფრო ადვილია იმის შეგონება, ვინც არაფერს არ

<sup>2</sup> Международный кодекс поведения государственных должностных лиц, Резолюция 51/59, 51 сессия Генеральной Ассамблеи ООН.

<sup>3</sup> Inter-American Convention Against Corruption – Adopted by The Organization of American States at the third plenary session, held on March 29, 1996.

უნდა იღებდეს, მაგრამ ცოტას იღებს, ვიდრე იმისი, ვინც უფრო მეტს იღებს, ვიდრე უნდა იღებდეს, და ვინც ყოველთვის პოულობს ამისათვის გამართლებას, მიზეზს და დამაჯერებელ საფუძველს“.<sup>4</sup>

*მონტესკიეს* აზრით, მორალურად გაუმართლებელია თანამდებობის პირის მიერ თუნდაც მცირედი სახით საჩუქრის მიღების დაკანონება, რადგან ადამიანის ფსიქოლოგია და ბუნება ისეთია, რომ, როცა ცოტას სთავაზობენ, არ აკმაყოფილებს და უფრო მეტი სურს. ამასთანავე, უფრო ადვილია, კანონის საფუძველზე მოხელეს აუკრძალო საჩუქრის მიღება და, შესაბამისად, პასუხი მოსთხოვო, ვიდრე პასუხი აგებინო იმისათვის, რომ მან აიღო არა კანონით დაშვებული, არამედ გაცილებით მეტი ღირებულების საჩუქრები. მით უფრო, რომ მას ადვილად შეუძლია, თავის თავს მოუძებნოს ამგვარი საჩუქრის აღების გამამართლებელი ნებისმიერი მიზეზი და არგუმენტი.

დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ძნელია, არ გაიზიარო აღნიშნული. მით უფრო, რომ დღეს საჩუქართან მიმართებით ურთიერთგანსხვავებული დამოკიდებულება არსებობს.

იმის განცხადება, რომ თანამდებობის პირმა არასოდეს არ უნდა მიიღოს საჩუქარი, ძალზე გამარტივებული მიდგომაა. მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის უგულვებელყოფასთან დაკავშირებით, მით უფრო, თუ ეს სხვა სახელმწიფოს მთავრობის საჩუქარია, შეიძლება, საკმაოდ უხერხული სიტუაცია შეიქმნას, რადგან მრავალ ქვეყანაში საჩუქარი სოციალურ ტრადიციად ითვლება, ადათით არის განპირობებული და საჩუქარზე უარის თქმა აღიქმება როგორც უპატივცემულობა. ამდენად, უფრო მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვისთვისაა განკუთვნილი ეს საჩუქარი.

საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში კანონმდებლობით დადგენილია წესი, რომლის შესაბამისად, თანამდებობის პირს უფლება ეძლევა, მიიღოს განსაზღვრული ღირებულებისა და სახის საჩუქარი. უპირატესად, თანამდებობის პირებს უფლება ენიჭებათ, მიიღონ ნომინალური ღირებულების მქონე საჩუქარი, სიმბოლური ნიშნების ან სუვენირების სახით, რომელთა გადაცემა ხდება საზოგადოდ მიღებული სტუმართმოყვარეობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთმოკრძალების ფარგლებში და დაკავშირებულია კეთილი ნების გამოხატვასა და კეთილგანწყობის გამოვლენასთან. მიღებულია, რომ საჩუქარს სთავაზობენ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საზეიმო, საპროტოკოლო ან სპეციალურ შემთხვევებში და რომელიც არაა დაკავშირებული თანამდებობის პირის მიერ ოფიციალური უფლებამოსილების შესრულებასთან.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევით მიღებული საჩუქრის შემდგომი „ბედი“ კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით ურთიერთგანსხვავებულია. ზოგ შემთხვევაში საჩუქარი ბარდება სახელმწიფოს, ან თანამდებობის პირს ეძლევა უფლება, გამოისყიდოს იგი საბაზრო ფასით, შესაძლებელია განუული მომსახურების ანაზღაურება თანხით, რომელიც შემდგომ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხება, დაშვებულია საჩუქრის გაყიდვა აუქციონის წესით და ა.შ. რაც შეეხება ოფიციალური მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით საჩუქრის მიღებას, – მრავალ ქვეყანაში აღნიშნული ქმედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად ითვლება.

მოხელის მიერ საჩუქრის მიღების პროცედურის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია გამჭვირვალობა. უპირატესად, საკანონმდებლო მოთხოვნაა, დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება, რომლის წესი განსხვავებულია თანამდებობრივი იერარქიის შესაბამისად და ძირითადად უზრუნველყოფილია დეკლარირების პროცესით.

<sup>4</sup> *მონტესკიე*, კანონთა გონი, თბილისი, 1994, 38.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღნიშნული ურთიერთობების შესაბამის საკანონმდებლო რეგლამენტაციას და მთელი საკანონმდებლო მასივით რეგულირდება. სპეციალური კანონითაა განსაზღვრული ფედერალური ხელისუფლების მოხელეების მიერ საჩუქრების მიღების ზოგადი წესი, ასევე გრანტებისა და უცხო ქვეყნების მთავრობისაგან სხვა სახის დახმარებებისა თუ ჰონორარების მიღების წესი, შეთავსებით ნებისმიერი ანაზღაურებადი საქმიანობის რეგულირების პირობები, ზემდგომი პირისათვის საჩუქრის გადაცემის წესი და ა.შ.

**რას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა?**

**წინადადებები მისი შემდგომი სრულყოფისათვის**

თანამედროვე ქართულ კანონმდებლობაში თანამდებობის პირთან მიმართებით „საჩუქართან“ დაკავშირებული ურთიერთობანი რეგულირდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ შესაბამისად, ხოლო კანონის მოთხოვნების უგულვებელყოფა იწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის საფუძველზე.

თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღება „სამსახურებრივი მდგომარეობის გამო“ ფართო სპექტრით მოიცავს ყველა იმ შესაძლო შემთხვევას, რომლებიც უკავშირდება თანამდებობის პირისადმი საჩუქრის გადაცემის მოტივებს: სურვილს, დაიმსახუროს მოხელის კეთილგანწყობა, ან მომავალში მიიღოს კეთილსასურველი ქმედება, დავალებულად იგრძნოს თავი საჩუქრის გადამცემის წინაშე, გამოხატოს მადლიერება უკვე შესრულებული ქმედებისათვის და ა.შ.

კანონით აკრძალულ საჩუქარსა და ქრთამის მიღებას შორის მკვეთრი ზღვარის გავლება არცთუ ისე ადვილია, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, თუ თანამდებობის პირისათვის ცნობილია საჩუქრის გადაცემის მოტივი და არსებობს შეთანხმება აღნიშნულ საკითხზე, რაც მიმართულია თანამდებობის პირის მიერ, მაგალითად, მომავალში საჩუქრის გადამცემის სასარგებლოდ რაიმე ქმედებისაკენ ან უმოქმედობისაკენ, მაშინ საჩუქარი „გადადის“ ქრთამის კატეგორიაში და სახეზეა უკვე სხვა სახის დანაშაული – „ქრთამის მიღება“.

კომენტარებში – „პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის“ – მითითებულია, რომ არსებითი განსხვავება „ქრთამის მიღებასა“ და „კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებას“ შორის არის ის, რომ ქრთამის მიღების დროს მოხელეს გაცნობიერებული აქვს, მან ქრთამის სანაცვლოდ უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. „კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების“ დროს პირი თავისუფალია არჩევანში და არაა ვალდებული, შეასრულოს ამგვარი სახის მოქმედება. ამ შემთხვევაში მისი მოქმედება საჩუქრის გადაცემით არ არის განსაზღვრული.<sup>5</sup>

„საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის“ თანახმად, საჩუქარი არის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ნებისმიერი ქონება ან ქონებრივი ვალდებულებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ აშკარად შეღავათიანი პირობებით განეული მომსახურება, რომელიც ასეთი მომსახურებისათვის, ჩვეულებრივ, იღებს გასამრჯელოს. აღნიშნული განმარტება ნათლად გვიჩვენებს საჩუქრის ცნების მრავალმხრივობას – საჩუქარი გულისხმობს ამა თუ იმ პირისათვის არა მხოლოდ ფულისა თუ სხვა ძვირფასი ნივთების გადაცემას, არამედ შესასრულებელი ქონებრივი ვალდე-

<sup>5</sup> *ლექსიკონი/მამულაშვილი*, პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის, თბილისი, 2000.

ბულებებისაგან გათავისუფლებასა და შეღავათიანი პირობებით განეულ მომსახურებას, როცა ეს მომსახურება ჩვეულებრივ პირობებში მატერიალურად ანაზღაურებადია. ამასთან, გამონაკლისის სახით, კანონი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო ან პრემია არ ჩაითვლება საჩუქრად.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის უფლება, მიიღოს საჩუქარი. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლში ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები და პირობები, როცა მათ ეკრძალებათ ან შეუძლიათ საჩუქრის მიღება.

საყურადღებოა, რომ, კანონის მიხედვით, თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული „შეზღუდვები“ ვრცელდება მხოლოდ თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრებზე, ამასთან, იგი არ ვრცელდება მის ახლო ნათესავებზე, რომლებიც, კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირის ოჯახის წევრების გარდა, მოიცავს აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს, გერსა და დას, ძმას, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერებს.

თავისთავად ის ფაქტი, რომ, აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლის მიმართაც ვრცელდება საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული „შეზღუდვები“, მისაღებია, მაგრამ ეჭვის ქვეშ დგება არსებული ნორმის იმ ნაწილის რეალურად ამოქმედების საკითხი, რომელიც თანამდებობის პირის ოჯახის წევრს შეეხება, რადგან საჩუქრის გადაცემის ლატენცურობისა და ურთიერთშეთანხმებული ბუნების გამო, ფაქტობრივად, არ არსებობს არავითარი ბერკეტი, რომლითაც მოხდებოდა აღნიშნული ურთიერთობის დაფიქსირება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მაინც ცნობილი გახდებოდა ოჯახის წევრის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რეაგირების არანაირ ფორმას, რაც აღნიშნულ ნორმას ე.წ. „მკვდარ ნორმად“ აქცევს.

კანონით იკრძალება თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ პირად საკუთრებაში საჩუქრის მიღება, თუ მისი გადაცემა მოხდა საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან, დაწესებულებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციისაგან ან მათი წარმომადგენლობისა თუ წარმომადგენლებისაგან, ასევე სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირისაგან, ანუ იმ პირისაგან, რომლის მიერ გამოცემულ აქტთან ან შესრულებულ მოქმედებასთან დაკავშირებით თანამდებობის პირი უფლებამოსილია, გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება, გააუქმოს აქტი.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი, ერთი მხრივ, უკრძალავს თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრს პირად საკუთრებაში საჩუქრის მიღებას, მეორე მხრივ, იგი ასევე ითვალისწინებს თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ ასეთ შემთხვევაში საჩუქრის მიღების შესაძლებლობას, თუ საჩუქრის ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ოდენობის ნახევარს (50 ლარს).

მნიშვნელოვანია განხილული საკანონმდებლო ნორმის შემდგომი რეგლამენტაცია. ის ფაქტი, რომ კანონი განსაზღვრავს საჩუქრის ზღვრულ ღირებულებას, სავსებით მისაღებია, მაგრამ მხოლოდ საჩუქრის ღირებულების მიხედვით საჩუქრის პირად საკუთრებაში გადაცემა, დამატებითი მოტივაციის გარეშე, არამართებულია. უნდა გათვალისწინებულ იქნეს საჩუქრის გადაცემის პირობებიც, კერძოდ, ეს ხდება საოქმო და სხვა ოფიციალური ღონისძიებების ჩატარების დროს თუ არაოფიციალური შეხვედრებისას. საჭიროა დაზუსტდეს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი, თანამდებობის პირმა და მისი ოჯახის წევრმა საჩუქარი არა მარტო თავის

საკუთრებაში დაიტოვოს, არამედ საერთოდ მიიღოს საჩუქარი, რომელიც არ გასცდება საზოგადოებაში დამკვიდრებულ ტრადიციებს, ურთიერთპატივისცემის ფარგლებს. უნდა შემუშავდეს წესი, როცა საჩუქრის ღირებულების დასადგენად საჭიროა სპეციალური შეფასება. ასევე, უნდა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა მოხდეს საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული ურთიერთობების ადმინისტრირება. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ შემუშავდეს თანამდებობის პირისათვის მის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა მიერ საჩუქრის გადაცემის წესიც, სადაც დეტალურად განისაზღვრება ყველა ის შემთხვევა, რა დროსაც დაშვებული და ნებადართული იქნება თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის მიერ საჩუქრის მიღება. მაგალითად, რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში – იუბილე, ბავშვის დაბადება, პენსიაზე გასვლა და ა.შ.

თანამდებობის პირსა და მისი ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, მიიღონ საჩუქრი იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულება არ აღემატება საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობას, ანუ 500 ლარს ოჯახის თითოეულ წევრზე. ამასთან, თანამდებობის პირისათვის ახლო ნათესავის მიერ გადაცემული საჩუქარი, აგრეთვე სხვა პირის მიერ საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, ისტორიული ან ბიბლიოგრაფიული ღირებულების მქონე გამოცემების გარდა, შეზღუდვას არ ექვემდებარება.

კანონით განსაზღვრულია ასევე, რომ, თუ თანამდებობის პირს ან/და მისი ოჯახის წევრს ახლო ნათესავი გადასცემს საჩუქრებს, რომელთა საერთო ღირებულება ერთი წლის განმავლობაში აღემატება საარსებო მინიმუმის ათმაგ ოდენობას, თანამდებობის პირი თანამდებობის პირთა და ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში წარადგენს გადაცემული საჩუქრების დასახელებას, ღირებულებას/ოდენობას და მიუთითებს მჩუქებლის ვინაობას.

თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული საჩუქრის ღირებულების ზღვრული ოდენობის დადგენა შეიძლება შეფასდეს როგორც პრევენციული ღონისძიება, რომელიც საშუალებას იძლევა, საჩუქრის ღირებულების ზღვარის შემოღებით, ერთი მხრივ, და წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების საერთო ღირებულების ლიმიტის დაწესებით, მეორე მხრივ, თავიდან აცილებულ იქნეს კორუფციული სამართალდარღვევა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიზანი მიღწეული ვერ იქნება არსებული მოთხოვნების შემდგომი სრულყოფისა და კონტროლის შესაბამისი მექანიზმების არსებობის გარეშე.

კერძოდ, საჩუქარი დეკლარირებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩუქების ხელშეკრულების საგნის ღირებულებაა 1000 ლარი და მიღებული საჩუქრის საერთო ღირებულება ერთი წლის განმავლობაში აღემატება 1000 ლარს და, ამასთან, რომელსაც თანამდებობის პირს ან/და მისი ოჯახის წევრს გადასცემს ახლო ნათესავი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს იმ შესაძლო წრეს, ვისგანაც შესაძლოა, თანამდებობის პირმა მიიღოს საჩუქარი. აღნიშნული კი მთლიანად გამორიცხავს თანამდებობის პირისა და მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული საჩუქრის ზღვრული ღირებულების ოდენობის დადგენის შესაძლებლობას. მით უფრო, რომ ნებისმიერი ინფორმაცია საჩუქრის მიღების შესახებ, თუ, რა თქმა უნდა, ეს დოკუმენტურად არ არის დაფიქსირებული, მხოლოდ დეკლარანტის კეთილსინდისიერებაზეა დაფუძნებული. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ჩუქება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობა, ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა და უპირატესად ზეპირ ხასიათს ატარებს, მისი წერილობითი გაფორმება ხდება ძირითადად იმ შემთხვევაში, თუ ჩუქების საგანია ისეთი ქონება – მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელი სახლი, ავტომანქანა და ა.შ., რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა კანონით დადგენილი ფორმის დაცვით. თანამდებობის პირის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია, ფაქტობრივად, ის მნიშვნელოვანი დოკუმენტია, სადაც თანამდებობის პირი განაცხადს აკეთებს მის მიერ მიღებული საჩუქრის შესახებ, იგი მიუთითებს საჩუქრის გადაცემის ვინაობას, მასთან

კავშირს, საჩუქრის სახეობასა და ღირებულებას. იმის გათვალისწინებით, რომ დეკლარაცია საჯაროა, ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შეუძლია, დეკლარაციის გაცნობისას დააფიქსიროს დარღვევა და კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით მიმართოს სასამართლოს ან პროკურატურას. ამრიგად, აღნიშნული დარღვევის რეაგირების მექანიზმი მოქმედებს მხოლოდ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ნების შესაბამისად. ის გარემოება, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნულზე სახელმწიფოს მუდმივი კონტროლის და, შესაბამისად, რეაგირების მექანიზმის არსებობას, იგი, ფაქტობრივად, გამორიცხავს წარმოდგენილი ინფორმაციის შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ გარკვეულწილად საკანონმდებლო ვაკუუმი არა მარტო თანამდებობის პირთა, არამედ მოხელეთა მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირების სფეროში. ადმინისტრირება უნდა მოიცავდეს საჩუქრების მიღებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას, კონტროლის მექანიზმებს, დარღვევებზე რეაგირებასა და შესაბამის პასუხისმგებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში დამკვიდრებული სოციალური ტრადიციის შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია განხილულ იქნეს საჯარო მოსამსახურისადმი სუვენირის ან სიმბოლური ნიშნის გადაცემის შესაძლებლობა მკაცრად განსაზღვრულ პირობებში, რომლითაც უნდა დადგინდეს საჩუქრის ნომინალური ღირებულების ოდენობა, საჩუქრის მიღების შესაძლო შემთხვევები.

კანონით „აკრძალული საჩუქრის“ მიღების შემთხვევაში „თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი ვალდებულია, საჩუქრის გადაცემის მომენტიდან ან იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო მისთვის საჩუქრის გადაცემის შესახებ, იმოქმედოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად და 72 საათის განმავლობაში უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ხაზინას. შესაბამისმა საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საჩუქრის გადაცემის შესახებ ინფორმაციის საჯარო რეესტრში შეტანა.

აღნიშნული ნორმა შემდგომ საკანონმდებლო რეგლამენტაციას საჭიროებს. კერძოდ, უნდა განისაზღვროს „აკრძალული საჩუქრის“ ხაზინისათვის გადაცემის წესი, გაირკვეს მიღებული საჩუქრის შემდგომი „ბედი“, გარდა ამისა, უნდა დაზუსტდეს, როგორ იმოქმედოს პირმა იმ შემთხვევებში, როცა 72-საათიან ინტერვალში პრაქტიკულად შეუძლებელია საჩუქრის ჩაბარება, მაგალითად, საზღვარგარეთ ხანგრძლივი მივლინების დროს და ა.შ. მოხელეს ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ „კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია და ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის შესაბამისად.

„აკრძალული საჩუქრის“ მიღებისათვის დამახასიათებელია ლატენტურობა, ძირითადად იგი ატარებს ფარულ და შეთანხმებით ხასიათს, აქვს კონფიდენციალური ბუნება და, როგორც წესი, თან არ სდევს საჩივარი, რადგან მონაწილე მხარეები მოქმედებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მოქმედ კანონმდებლობაში აკრძალვები, რომლებიც საჩუქრის მიღებასთან არის დაკავშირებული, დაფიქსირებულია მხოლოდ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონში და, შესაბამისად, ვრცელდება თანამდებობის პირსა და მის ოჯახის წევრზე.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ მითითებული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, „თანამდებობის პირთა“ ჩამონათვალი მოიცავს საჯარო მოსამსახურეების განსაზღვრულ წრეს, მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და მოხელეთა გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ჩამოთვლილია „თანამდებობის პირთა რეესტრში“.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სსკ-ის 340-ე მუხლის შესაბამისად, კი დგება მხოლოდ მოხელეთა და მათთან გათანაბრებული პირების მიმართ. კანონმდებლობა მოხელეებთან გათანაბრებულ პირებს არ განსაზღვრავს, მაგრამ პრაქტიკაში მიღებულია და როგორც კომენტარებში – „პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის“ – არის მითითებული, აღნიშნულში მოიაზრება შტატგარეშე მოსამსახურე, რომელიც გარკვეული ვადით ასრულებს მოხელის ფუნქციებს, დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად.

სისხლის სამართლის კოდექსის 340-ე მუხლის მოთხოვნები ვერ გავრცელდება იმ მოხელეებზე, რომლებიც „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლში არ არიან მოხსენიებულნი როგორც „თანამდებობის პირები“, რადგან მხოლოდ მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის ნორმები, მათ შორის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, როცა თანამდებობის პირს და მისი ოჯახის წევრს ეკრძალება საჩუქრის მიღება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ აწესრიგებს საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებს და, აქედან გამომდინარე, იგი მოხელის მიმართ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით საკითხს არ წყვეტს.

მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზია ის მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ჯეროვნად არ რეგულირდება საჯარო სამსახურში საჩუქრის გადაცემასთან დაკავშირებული ურთიერთობები.

ფაქტობრივად, მოხელის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 340-ე მუხლის საფუძველზე დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას უკავია ის თანამდებობა, რომელიც შედის „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონით დადგენილ თანამდებობის პირთა ჩამონათვალში, ანუ იგი ვრცელდება სახელმწიფო მოხელეთა გარკვეულ ნაწილზე.

ამასთანავე, არც სისხლის სამართლისა და არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი თანამდებობის პირის ოჯახის წევრის მიმართ არ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში კანონის მიღმა რჩება ამ კატეგორიის პირების მოქმედებებზე შემდგომი რეაგირების საკითხები.

საყურადღებოა, რომ სსკ-ის 340-ე მუხლში, შესაბამისად, ჩამოყალიბებულია პასუხისმგებლობის ზომა ზოგადად „კანონით აკრძალული საჩუქრის მიღებისათვის“ და არაა დიფერენცირებული მიდგომა კანონით აკრძალული ცალკეული ქმედების მიმართ. ობიექტურობის მეტი გარანტიები იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ კოდექსში – „კანონით აკრძალული საჩუქრების მიღება“ – პასუხისმგებლობის შესაბამისად გაიმიჯნებოდა: თანამდებობის პირის მიერ მიღებული საჩუქრების წლიური ღირებულების ლიმიტის დარღვევა; თანამდებობის პირის მიერ პირად საკუთრებაში საჩუქრის მიღება საჩუქრის ღირებულების ზღვრული ოდენობის დარღვევით; თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღება ამ თანამდებობის პირის სამსახურებრივი მდგომარეობის გამო; თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღება იმ პირისაგან, თუკი ამ თანამდებობის პირმა განიხილა, იხილავს ან წინასწარ ცნობილია, რომ უნდა განიხილოს მისი საკითხი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების გამო; დადგენილი წესის დარღვევით თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღება ამ თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირისაგან; თანამდებობის პირის მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის დაბრუნების ვადის დარღვევა და ა.შ. შესაძლებელია აღნიშნული დარღვევების გარკვეულ ნაწილზე გავრცელდეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მით უფრო, რომ კანონის აკრძალვები ვრცელდება არა მარტო თანამდებობის პირებზე, არამედ მისი ოჯახის წევრებზეც.



## **პარსაქტივა**

---

ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სსკ-ის 340-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი ცალკე ნაწილის სახით, რადგან ისინი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით მოხელის კატეგორიას არ მიეკუთვნებიან.

ამრიგად, მოქმედი კანონმდებლობა, რომლითაც რეგულირდება საჯარო სამსახურში საჩუქართან დაკავშირებული ურთიერთობები, ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა არსებობდეს სახელმწიფო მოსამსახურეების წინაშე.

აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკანონმდებლო ბაზის შემდგომი სრულყოფა ან ახალი ნორმატიული ბაზის შემუშავება, რომლითაც დარეგულირდება შემდეგი საკითხები: შეიქმნება საჯარო მოსამსახურის მიერ საჩუქრის მიღების წესი; ჩამოყალიბდება სპეციალური მოთხოვნები თანამდებობის პირებისა და მათ შორის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებით; განისაზღვრება კანონის დარღვევით საჩუქრის მიღების შემთხვევაში პასუხისმგებლობის დიფერენცირებული ზომები და საჩუქრის დეკლარირების შემდგომი სრულყოფის მექანიზმები.